N 183 03/06/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის რეზო კვაჭაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგესალმებით ძვირფასო კოლეგებო, ამომრჩევლებო!

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად , ის მოიცავს 2018 წელის სამუშაო პერიოდს.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეულიდან.

წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირებაში ჩართვა ჩემთვის არ იყო მარტივი, იმ პასუხისმგებლობის გათავალისწინებით, რასაც იმ ადამიანების მიერ მონიჭებული მანდატი მაკისრებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1)სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია; 2)სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, ამავდროულად ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

მონაწილეობა მივიღე 16 საკრებულოს, როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომაზე. საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დავესწარი სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ერთხელ, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას 5-ჯერ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სხდომას 7-ჯერ.

მონაწილეობა მივიღე არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი. მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

ასევე ჩოჩხათის ადმინისტრაცული ერთეულის მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განვიხილავდით აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, ასევე გაცნობებთ, რომ შეწამვლითი სამუშაოები 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა.

ეხლა მინდა მოგახსენოთ იმ პროექტებზე და იმ დახმარებებზე რომელიც ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა როგორც საქართველოს მთავრობის ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.კერძოდ ეს პროექტებია:

- ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მთლიანად დაიგო 955 მეტრი რკინა-ბეტონის გზის საფარი
- ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა 310 მეტრი სიგრძის ბეტონის არხები
- სოფელ ჯიხანჯირში აშენდა მინი სტადიონი
- მოიხრეშა ჩოჩხათის სხვადასხვა სოფლების შიდა გზები

რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა 2018 წელს შუამდგომლობა გავუწიე 33 ადამიანს, როგორც მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის სარგებლობით ისე გადაუდებელი საოპერაციო ხარჯის დაფინანსებაზე.

2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებული 5 ოჯახს 2018 წელს გაეწია დახმარება კერძოდ გადეცა საჭირო სამშენებლო მასალა (სახლის სახურავი), ასევე 2018 წლის 3 მარტისა და 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 18 ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალა(სახლის სახურავი).

ხოლო რაც შეეხება 2019 წელს სოფელში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოგახსენებთ:

- მიმდინარე წელს სოფელ ჯიხანჯირში მიმდინარეობს დაწყებითი სკოლის მშენებლობა.

- ასევე 2019 წელს ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება წლის რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი პროექტი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გაკეთდება გარე განათების სისტემა.

მე როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან. რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს სოფლისთვის.

და ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს მთლიან შემადგენლობას და საკრებულოს აპარატს თანადგომისათვის.

რეზო კვაჭაძე

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები